ქ. თეთრიწყარო

12/04/2018

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 435

435-13-4-201804121810

2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 17 ნოემბრის N1787
ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ვ“ ,,ე.ე“ ქვეპუნქტების, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მესამე პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე - 9 მუხლის საფუძველზე, ,,თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წ;ოს 26 იანვრის N200 დადგენილების მე - 8 მუხლის 1 - ლი პინქტის ,,გ.ვ“ ქვეპუნქტისა და ,,თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცებს შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N191 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N214 დადგენილების და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის 2018 წლის 12 აპრილის N994 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 17 ნოემბრის N1787 ბრძანების დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული კორექტირებული რედაქციით (დანართი 6 ფურცელად).
2. დანართი წარმოადგენს ბრძანების განუყოფელ ნაწილს.
3.დაევალოს მერიის საფინანსო - საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს შესყიდვების მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობის შესატყვისად უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების თანდართული ფორმით დამტკიცებული შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების 2018 წლის გეგმის მიხედვით სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი განხორციელების ორგანიზება/ხელშეწყობა.
4. დაევალოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსს ალნერი

დარბაიძეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა.
5. კონტროლს წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მერის პირველ მოადგილეს მალხაზ სამაშვილს.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. # 11) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ქორიძე

მუნიციპალიტეტის მერი
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია